№ 147 ივლისი 14, ხუთშაბათი 1888 ივლისი 14, ხუთშაბათი № 147

# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თუე | მან. კ. | თუე | მან. კ. |
| 12 . . . . . | 10 — | 6 . . . . . | 6 — |
| 11 . . . . . | 9 50 | 5 . . . . . | 5 50 |
| 10 . . . . . | 8 75 | 4 . . . . . | 4 75 |
| 9 . . . . . | 8 — | 3 . . . . . | 3 50 |
| 8 . . . . . | 7 25 | 2 . . . . . | 2 75 |
| 7 . . . . . | 6 50 | 1 . . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ვემებ ფრანგულის ენის

გაკვეთილებს.

მსურველებს შეუძლიანთ ამბავი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენობაში, პირველის ნაგორნის ქუჩის ბოლოს. პეტრე მირიანიშვილი

(10—6)

ტფილისი, 13 ივლისი

ეს რამდენიმე თთვეა, რაც შესწყდა ლაპარაკი ბოლგარიაზე, რომელმაც ეგოდენი შფოთი და უთანხმოება გამოიწვია პოლიტიკაში. მხოლოდ აქა-იქ შეხვდებით ცნობას, რომ ბოლგარიის შინაგანი მდგომარეობა შერყეული და საეჭვოაო, რომ პრინცი ფერდინანდი კობურგისა, ევროპის სახელმწიფოთა ნება-დაურთველად გამთავრებული, თანდათან ჰკარგავს ნდობასა და სიყვარულსაო. ასე ლაპარაკობენ მას აქეთ, რაც ფერდინანდი გამთავრდა, მაგრამ პრინცი კობურგისა ბოლგარიიდგან ფეხს არ იცვლის. რას არა ლაპარაკობდნენ ფერდინანდის თაობაზე? ხან შინაურს არეულობას მოელოდნენ, ხან სწერდნენ, ვითომ აღმოუჩენიათ შეთქმულობა ფრიდრიხის წინააღმდეგაო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ამბები ტყუილი გამოდგა. ევროპის სახელმწიფოებმა თითქო ყოველ გვარი საშუალება იხმარეს, რომ ფერდინანდი გაეძევებინათ ბოლგარიიდგან. რუსეთი თავიდამვე ფერდინანდის გამთავრების წინააღმდეგი იყო. რუსეთს ამ საქმეში მხარი მისცა გერმანიამ და საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ გერმანიის წარმომადგენელი ბოლგარიაში არ დასთანხმდა იმაზე, რომ ფერდინანდი დასწრებოდა პანაშვიდზე იმპერატორის ფრიდრიხ მესამის მოსახსენებლად. ოსმალეთმაც გამოაცხადა, რომ კანონიერ მთავრად ვერა ვსცნობ პრინცს ფერდინანდსაო, მაგრამ ამ გარემოებათა მიუხედავად პრინცი კობურგისა მაინც მთავრობს, თითქო ამ მთავარს ძალ-ღონე და მოხერხება აქვს ძლიერ სახელმწიფოთა წინააღმდეგობა გაუწიოსო.

რასაკვირველია, ამ გვარი მდგომარეობა ბოლგარიისა, რომელსაც მთელი დიპლომატია სჩივის, მეტად საინტერესო და საგულისხმოა. უეჭველია, რომ ბოლგარიის საქმეში მრავალი ისეთი სხვა ღონეც მოქმედობს, რომელიც საზოგადოებისათვის დაფარულია... აი, ეს გარემოებაა მეტად საყურადღებო. დღეს ისეთი დროა, როდესაც ბოლგარიის საქმეს დასასრული უნდა მიეცეს: ან უნდა კანონიერად აღიარონ დღევანდელი მმართებლობა ბოლგარიისა და ან უარჰყონ.

დღემდის ბოლგარიის საქმე მოწმობდა, რომ სახელმწიფოთა განწყობილება საიმედო არ არის; ეხლა-კი, როდესაც რუსეთი და გერმანია ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ავსტრიაც იძულებულია ამ ორს სახელმწიფოს მხარი მისცეს, ბოლგარიის მდგომარეობა კიდევ უფრო საყურადღებოა. ვნახოთ, როგორ იმოქმედებს ბოლგარიის ბედზე ამ სახელმწიფოთა დაკავშირება. ასე თუ ისე, ბოლგარიის საქმე უნდა გადასწყდეს; თუ სახელმწიფოთა განწყობილება მტკიცეა და დღეგრძელი უნდა გამოდგეს, მაშინ ბოლგარიის დღევანდელს ყოფას ბოლო უნდა მოეღოს; თუ არა-და, ბოლგარია ისევ ძველს მდგომარეობაში დარჩება, ბევრიც რომ ილაპარაკონ იმის გაჭირებულს მდგომარეობაზე.

ბოლგარიის საქმე ყველაზე უფრო რუსეთსა და ავსტრიას შეეხება. არც ერთს ამათგანს არ შეუძლიან ხელი აიღოს ბალკანიის ნახევარ კუნძულზე. რადგანაც თვით ისტორიამ პირი-პირს შეახვედრა იქ რუსეთი და ავსტრია. მერმისი გვაჩვენებს, თუ რა საშუალებით და რა პირობით მორიგდებიან რუსეთი და ავსტრია. ამათის ინტერესე'ის მოსარიგებლად და შესათანხმებლად დიდი შრომა და მეცადინეობაა საჭირო, რადგანაც ერთმანეთს დიდი თავაზა უნდა გაუწიონ.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ქალაქის გამგეობამ 7 მარტს ამ 1888 წლისას სოფლიდგან ჩამოსულს ურმებსა და პოვოსკებზე, რომელნიც ტფილისის მოედნებზე დგებიან, და აგრეთვე გასასყიდ საქონელზე ბაჟი დააწესა. 19 აპრილიდგან 1 ივლისამდე ქალაქს ამ ბაჟისაგან შემოსავალი ჰქონია სულ 2704 მან. 49 კაპ.: 19 აპრილიდგან 1 მაისამდე მოუკრებია 561 მან. 10 კაპ., მაისში—927 მან. 65 კ. და ივნისში—1215 მან. 74 კაპ.

*** ამიერ კავკასიის საბებიო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ამ ინსტიტუტში კურსებია გამართული ბებიობის შესასწავლად. ინსტიტუტში შემსვლელნი ორს წელიწადს უნდა სწავლობდნენ. სწავლის ფასი ღირს წელიწადში 40 მან. მსურველთ თხოვნა უნდა მიართვან ამიერ-კავკასიის საბებიო ინსტიტუტის დირექტორს 15 აგვისტომდე და თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ წლოვანობის მოწმობა და ნებართვა მშობლებისა ან ქმრისა (თუ ბებიობის შესწავლის მსურველი ქმრიანია). მოწაფეებად მიიღებიან 16 წლიდგან 30 წლამდე.

*** ჩუღურეთში, რიყის ქუჩაზე, ერთს სახლს (№ 49) ბათქაშს უსომენ. ამისათვის ქუჩის ნაწილი გადაღობილია და ხარაჩოები სდგას. ორშაბათს, ამ თთვის 11, პოვოსკამ გამოიარა, ერთი აისორი მოაყოლა ხარაჩოსა და პოვოსკის ღერძებს შუა და ფეხი მოსტეხა. სამი ეილაც ჩინოვნიკი შეესწრო ამ დროს, ბევრი უსტვინნეს, მაგრამ პოლიციელი არსაიდგან გამოჩნდა და მეპოვოსკემ თავს უშველა. მერმე თავის ხარჯით დაიქირეს ფაიტონი და საწყალი მუშა მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** ქალაქის ჯიბგირებისა და ქურდების თავ-გასულობა იქამდის მივიდა, რომ თავიანთ მოქმედების მოედნად სასამართლოებიც-კი გაუხდიათ. ამ თთვის ექვსს ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილების ოთახიდამ მოიპარეს პალტო ერთის ნაფიცის ვექილისა. ქურდს ფეხ-და-ფეხ დაედევნენ და ზ.ამამშოვის ქარვასლასთან დაიჭირეს. ქურდი აღმოჩნდა ვიღაც მოსამსახურეთ ნამყოფი. პალტო ჩაეცვა და ახ ხვინად მიჰყიროდა იარმუკისაკენ.

*** მთელს შუაბაზარში, თავიდამ დაწყებული სიონამდე, გახურებული მუშაობაა. სადაც-კი ძველი დუქნები იყო, ყველას აახლებენ. ჩვენებური ძველი ბანები და ბალახანები დაანგრიეს და ახალ სახურავებს უკეთებენ. დუქნის კარებსა და დარაბებს ჰღებავენ და კედლებს ლესავენ. ასეთივე მუშაობაა თითქმის ყველა ქუჩებში.

## ფელეტონი

### ბნელი

(მოთხრობა)

### VII*)

#### წისქვილში

ერთს წისქვილს—მდინარე იორზედ—წინ უდგა დიდი, „ქუდივით შაკრული“ ვერხვი; თითონ წისქვილსაც ვერხვისაგან მიუღია სახელი და ჰქვიან „ვერხვის წისქვილი“. დიდი ამაგი მიუძღვის ამ ვერხვს მოსაფქვავეთა წინაშე. ზაფხულობით, როცა ძირდება წისქვილები, ამ ვერხვის „შავი გრილო“ იფარავს მოსაფქვავეთ მზის მწვავე სხივებისაგან. ბევრს მუშაკს ამოუქშენია თავისუფლად, ხანგრძლივის მუშაობის შემდეგ, და გამოუქიმნია ტკბილი ძილი ამ ვერხვს ქვეშ; თანაც ძილში დამტკბარა იმისი მახვილი სმენა ფოთლების შრიალით, რომლითაც ვერხვი თითქოს მძინარეს ნანინანად ეუბნება იმის გულიდგან განუშორებელს ნატვრასაო:

„მუშას წელი ნუ აჰტკივა,
ფურსა ძუძუ, ხარსა ქედი“.

ერთხელ, აგვისტოში, ვერხვის წისქვილთან იდგა ოცამდინ საფქვავის ურემი. შუადღისას მოსაფქვავენი შეგროვილიყვნენ ვერხვ ქვეშ, ზოგს ეძინა, ზოგი შეექცეოდა ახლად გამომცხვარს ხმიადს და იორის წყალს, ზოგნი, ახლად გამოღვიძებულნი ტკბილის ძილისაგან, შეექცეოდნენ ყარფუზს. მხოლოდ შვიდიოდ-რვა კაცს მოეყარნა ერთს ადგილს თავი, ზოგი მოკეცილი იჯდა, ზოგი მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი, ზოგი პირ-ქვე იწვა. პირები-კი ერთმანეთისაკენა ჰქონდათ მიქცეული და საუბრობდნენ ჯერ-ჯერით.

— ეი, კაცებო, თქვენმა გამარჯობამ, რა ნაირათ შამოვარდება-ყე სიცხე! იტყვი კაცს სული უნდა ამოჰხუთოსო,—სთქვა ერთმა.

— დაიწვა, დაიწვა, თქვენმა გამარჯობამ, ცა და ქვეყნიერობა! ჩამოართვა მეორემ და შემდეგ სხვებმაც ერთი-ერთმანეთს.

— ამობენ, კაცებო, მთელ დუნიაზე ეგეთი გვალვააო.

— რატო ერთი ი ელია არ გამოუძღვება ღრუბლებს და არ მაიყვანს წვიმას, რო გაგრილდეს ცა და ქვეყანა!

— ი თხა ხო არ დაუვარდა?

— ან, ის ოჯახ-დასაქცევი, ი ბეზერი მაინც რატო არ ადგება, რო ქარმა ქროლა დაიწყოს და იმან მაინც გააგრილოს დედამიწა!

— ოჯახი რო დეექცეს! ვაჰ, ერთი წამაელებინა იმიჰთვინ ხელი, ცოტა ჩვენებიანთ ბაბალეს ჯავრიცა მჭირს, იმი ჯავრსაც იმაზე ვიყრიდი... არ დაიჯერებთ, ბიჭებო, ისიც ჩვენებიანთ ბაბალესავით ბალყუში იქნება!

— მე კიდე იგრე გავიგონე, რო ე ამოდენა სიცხეები წარღვნი ნიშანიაო. გუშინ-წინ მინდვრიდამ მივედი შინ და ჩვენ დედაკაცებს მივასწარ ლაპარაკზე, რო სომხი ტერტერებს კარაბადინი გაუხსნიათო და უთქვამთო, რო წარღვნა უნდა მოვიდესო. ორი-სამი თვე ეგრე ეცხელებაო, მემრე ბამბას ითოვლებსო და ცამდინ ააგებსო. მეეკიდება ბამბას ცეცხლიო და სუ ერთიან გამაიხუხება შიგ ყველაფერიო.

— ხო დაიღუპა მთელი დუნია?

— განა უწინ კი არა ყოფილა წარღვნა რა!

— უწინ წყლითა ყოფილა წარღვნა და დიდი წარღვნაცა ყოფილა. ნოეჰთვინ უბრძანებია ღმერთს, რო ერთი დიდი კიდობანი შაკარო, შენც შიგ შადიო და ოთხ-ფეხი პირუტყვიც და ფრინველებიც შაიყვანე სათესლეთაო. ნოესაც შაუკრამ ვეებართელა კიდობანი, შასულა შიგ თავი ცოლშვილით და ყველა ოთხ-ფეხი და ფრინველები შაუყვანია, კამეჩი-კი დავიწყებია. მოვარდნილა ციდამ წყალი და მოუტივტივებია მაღლა კიდობანი. საითაც კიდობანი მიჰქონდა წყალს, კამეჩიც მიჰდევდა თურმე უკან ცურვით და ეძახოდა „ნოე“. იმისთვინა როყინობს ეხლა „ჰოე“, რო ნოეს ეძახის.

— ეი, ბიჭებო, ეხლა არ მოვედი გული ხმას, მართლა ნოე არ გამოდის!

— მა აქამდი არ იცოდი?

— ნოეჰ კიდობანი ეხლაც იგრევ ხელ-უხლებელია; ერთ დიდ მთაზე დგა მარილეთი გზაზე და იმ მთას გაუწყვეტელი ნისლი და ბურვი ახვევია; ძე-ადამიანს ვერ შეუძლიან იმ მთაზე ავიდეს. რამთენმა წმინდა ბერმა მოინდომა თურმე ასვლა, მაგრამ რამწამ მისულა შუა გზას, დაჰძინებია და ანგელოზებს აუწევნიათ და იგრევ ძირს ჩამოუტანიათ.

— ჰო, მეც ე მაგრე გამიგონია.

— ბიჭებო, რა გვეშველება, რო აქავე მოგვაჰწროს წარღვნამ? ეს ოხერი, რაღა ეხლა დაძვირდა ე წისქვილები!

— რამ დაგაფეთიანათ, კაცებო? აი შაგირცხვათ კაცობა! ე მაგრე მალე უნა შეგეშინდეთ? ტყუილი ხმებია. ჩვენშიაც გავარდა წარღვნაზე ხმა. მასკვან დედაკაცებს ეკითხნათ ჩვენი ღვდლი ცოლიჰთვინ და იმას ეთქვა, რო მანამ „ჰ“-სა და „ჭ“-ში არ მივალთ, წარღვნა არ მოვაო.

— „ჰაე“ და „ჭ“ რაღაა?

— თარიღიაო.

— თარიღი რაღაა?

— მე კიდე აგრე გავიგონე, რო აი ანგლიჩნებმა რო რაღაცა მაშინა გადმააგდეს, იმაჰ გადმოჰყვა ეგეთი გვალვებიო.

— აი, ოჯახი დეექცათ, როგორც იმათ მთელი ქვეყნიერობა დაღუპეს!

— ნეტავი მითხრა, მართლა არაფერი არ აბია შიგ?

— აბია კი არა, ცეცხლითა მუშაობსო.

— ეი, თქვენმა გამარჯობამ, ცეცხლით როგო მუშაობს?

— რა ჭკვიანი ხემწიფე ყოფილა, ვისაც ის მოუგონია!

— ჩვენი ხემწიფე უფრო ჭკვიანი არა ყოფილა, რო აი მესრებზე როა გაბმული, ის მოუგონია!

— ი რაღა არი, ნეტავი მითხრა?

— ის ის არი, რო საჰწრაფო წიგნებსა ჰგზავნიან იმით.

— აბა როგო?

— ერთი რაღაცა არი პეპელასავითაო, იმაში ჩაჰდებენ წიგნსაო და იგრე მოჰკურცხლავსო, რო თვალს ვერ მოჰკრავს კაციო.

— არ დაიჯერებთ, კაცებო, თქვენმა გამარჯობამ, იმ დღეს მე დავინა-

*) იხ. „ივერია“ №№ 141, 142, 143, 145 და 146.

*** როგორც ვიცით, ხვალ, 15 ივლისს, რუსეთი დღესასწაულობს 900 წლის იუბილეის ნათლის-ღებისას. ამ დღეს თბილისშიაც დღესასწაულობენ. მდინარე მტკვარზე, ანჩისხატის სობოროს მახლობლად, მომზადებულია პავილიონი. წირვის გათავების შემდეგ ქალაქის ყველა ეკკლესიებიდგან უნდა მოიდეს საკათედრო სიონის ტაძარში ლიტონია და აქედამ გაემგზავრებიან მტკვარზე გაკეთებულს პავილიონში. წყლის საკურთხებლად.

*** სამშაბათს მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტების კრებულმა ბ-ნი იუჟინის (სუმბათაშვილის) საბენეფისოდ წარმოადგინა ნევეჟინის დრამა „მეორე სიჭაბუკე.“

*** წარსულს კვირას სოფ. ახალქალაქში წარმოდგენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაღაცა მიზეზის გამო, წარმოდგენა ამ მომავალ კვირისათვის გადაუდვიათ. წარმოადგენენ ავ. ცაგარლის კომედიას „რაც გინახავს, ველარ ნახავ!“ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა. შემოსავალი წარმოდგენიდამ დანიშნულია ახლად განზრახულ საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ, რომლის მეთაურად კნ. მ. ე. ორბელიანისა ითვლება.

*** ამას წინად დუშეთიდგან გვატყობინებდნენ, რომ ტფილისიდამ ვიღაც ბიჭ-ბუჭები მოვიდნენ და ქართულის თეატრის არტისტების სახელით წარმოდგენა გამართესო. ჩვენ პატარა საზოგადოებას დიდად ესიამოვნა ამ ამბის შეტყობა და თითქმის ყველანი ემზადებოდნენ წარმოდგენაზე დასასწრებლად, მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი განცვიფრება, როდესაც შეიტყეს, რომ ეს ვაჟბატონები არტისტები-კი არა, არამედ სხვა ჯურის ხალხია. ამ „არტისტებმა“ წარმოდგენა მაინც გამართეს, მაგრამ შემოსავალი ცხრა აბაზს არ გადასცილებია. ეხლა ხაშურიდამ მოგვივიდა წერილი და დაბეჭდილი აფიშა. ეს ყმაწვილები იქითაც გამგზავრებულან და გაუმართავთ წარმოდგენა. გაუყიდნიათ რამდენისამე მანეთის ბილეთი, დანიშნულს დროზე ხალხი მოგროვილა, მაგრამ ვერც ბინა უპოვნიათ ამ არტისტებისა და ვერც თვითონ არტისტები. გამქრალან ვითარცა კვამლი. აფიშიდამ შემდეგი გვარები ამოვიკითხეთ: თამაზიშვილი, მახარაძე, გეგნაშვილი, ხავანელი, გელიკურაშვილი და სხვ. აი თურმე ეს ვაჟბატონები ხჩემობენ ქართულის თეატრის არტისტობას.

*** ქუთაისი: იმ ადგილზე, სადაც სამეფო სახლი იდგა და ამას წინად რაღაც მანქანების ძალით ცეცხლმა მოინელა, როგორც შევიტყვეთ, აპირებენ ქალაქის გამგეობისათვის სახლის აშენებას. მხოლოდ ნასახლარი ბაღად უნდა აქციონ და თვითონ გამგეობის სახლი-კი უნდა დასდგან იქ, სადაც ლევაშოვის დროს სამრეცხველო იყო და სულ უწინ-კი გაგარინის დროს ქალაქის გამგეობა ყოფილა. სახლი ორ სართულიანი იქნება: ქვეით იქნება გამგეობა და ზემოდ საკონცერტო და საბალო დარბაზი.

*** დ. ოჩამჩირე: მას შემდეგ, რაც 23—24 უეცრად ადიდებულმა წყლებმა და ზღვამ დიდი ზიანი მისცა მცხოვრებლებს ოჩამჩირეს მახლობლად, ძლიერი სიცხე ჩამოწვა, ნამეტნავად ზღვის პირად. ერთი ქარის ბინდიც არა ჰქროდა. ზღვა ჯიწზედ დადგა და მოგვაკლო ნავი. ამის გამო ამ მოკლეს ხანში სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გაჩნდა. რასაკვირველია, ციებ-ცხელებას პირველი ადგილი უჭირავს. ხალხი მეტად შეწუხებულია. ვისაც საშუალება ჰქონდა, წყლებზე წავიდა, და ამით გადარჩა სიცხეს-პაპანაქებასა და ავადმყოფობას

## ხალხური ლექსი

ჩაწერილი ქ. ყიზლარში

ა. ხახანაშვილის მიერ

იმერეთს გადმოიღეშქრა
თორმეტი გურჯა ხანია,
გორაზე დასცეს კარავი,
მოართვეს ოქროს სკამია...
უფროს-უფროსნო ბეგებნო,
შეილებიცა ხართ, ძმანიცა;
ერთი ზღვა გადმოვარდნილა,
ვერ გაგვიწყდება თვალია;
ცოლშვილებამდე მოგვდევენ,
გამოგვესუროს კარია;
გავექცეთ, ვერსად წავუვალთ,
ცხენიც არა გვყავს ჩქარია..
შევტიროთ იესო ქრისტესა,
ავიღოთ ოქროს ჯვარია,
საქრისტიანოს გულისთვის
დავღვაროთ სისხლის ღვარია.

(ნათქვამი ბახიანაშვილის მიერ.)

## მოზდოკიდამ ყიზლარამდე

მოზდოკიდამ ყიზლარამდე გზა მიდის ყაზახის სტანიცებზე. თერგის ყაზახები გადმოსახლებულები არიან, თუ არა ვცდები, ეკატერინე მეორეს დროს. ამ ხელმწიფის სახელობაზე არის აშენებული სტანიცა ეკატერინოგრადი, სადაც ახამდის დარჩენილია ტრიუმფალური კარები, აგებული იმპერატრიცას მისაღებად. უადგილო არ იქნება მოგახსენოთ აქვე, რომ ქ. გიორგიევსკშიაც ვნახე ეკატერინე მეორეს პატივსაცემლად აშენებული სამ-საკუნიანი სვეტი, რომელზედაც ყოფილა, აწ წაშლილი, რაღაც წარწერა. ამ ქალაქშივე არის ესრედ წოდებული «ქართველთა» ეკკლესია, სადაც მარხია ჩამომავალი მეფე ერეკლე მეორისა, კნ. ეკატერინე, და დაცულია ვერცხლის ხატი ქართულის ზედ-წარწერით. გასაკვირველია, ამ ქალაქში ქართველები ძველი მოაჯახენი არ არიან (თუ შეხვდებათ ახლა, მხოლოდ სამსახურის კაცები), მაგრამ სახელი იმდენად განმტკიცებული ჰქონიათ ქართველებს აქაურს რუსებში, რომ ეს უკანასკნელნი აქაურს სომხებს და სპარსელებს „გრუზინებს“ ეძახიან.

ეკონომიური წეს-წყობილება ყაზახებისა იმდენად საყურადღებოა, რომ, ვგონებ, მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით მაინც მოვიხსენიოთ.

ყაზახებს თითო სულზე აქვსთ 32 დესეტინა, ანუ 64 დღიური სახნავ-სათესი და სათიბავი მიწა. ვისაც სურს ამაზე მეტის მოხვნა, ან სამოვრად აღება, იმას შეუძლიან იჯარით აიღოს „საჯარო“ მამულიდამ (земля войсковая) და დესეტინაზე გადაიხადოს 55 კ. საზოგადოდ მიწა საერთოა სტანიცისა. სტანიცა მოუჭრის ყოველს მოსახლე მამაკაცს სულზე 32 დესეტინას, და ამ ნაჭერს იგი მფლობელობს ათის წლის განმავლობაში. შემდეგ ამ ვადისა სოფლის მიწას ახალად დაჰყოფენ 32 დესეტინებად სულზე და რაც დარჩება, ითვლება „სასოფლო“ მამულად, რომელიც გაიცემა იჯარით სოფლის სასარგებლოდ. დედაკაცს არა აქვს წილი თუ მოუკვდა ქმარი და ვაჟიშვილი არ დარჩა, მაშინ ახრებულმა ქვრივმა უნდა დაუბრუნოს მიზომილი ნაჭერი სოფელს. ჩემს კითხვაზე, რით უნდა იცხოვროს ქვრივმა დედაკაცმა და დაობლებულმა ქალებმაო, ყაზახებმა მიპასუხეს: „მაგათი მცხოვრებელი ქმარია, ჩქარა ეცადნენ გათხოვებას და ლუკმა არ მოაკლდებათო“.

თუმცა სახნავს, სათიბს, საბალახოს, სამოვარს ათს წელიწადში ერთხელ საერთოდ დაანაწილებენ მამაკაცთა შორის, მაგრამ სახლის ადგილი, ბაღი გაყოფაში არ მოხვდება და სამუდამოდ რჩებათ პატრონებს იმ პირობით-კი, რომ სახლისა და ბაღის ადგილი აღებულს არე-მარეზე გააშენონ უთუოდ დაწესებულ ვადის განმავლობაში, თორემ სოფელი ისევ წაართმევს მიცემულს ნაჭერს. ყოველს სტანიცას მიცემული აქვს სახელმწიფოდ რამდენიმე ათასი დესეტინა მიწა. თუ დანიშნული მიწა არა ჰყოფნის სტანიცას, მაშინ მცხოვრებლები იღებენ იჯარით სხვა სტანიცის მამულს. მაგალითად, პეტროპავლოვსკის სტანიცის მცხოვრებლებმა დაუთმეს ნოვოსელსკის სტანიცა 9000 ათასი დესეტინა. სტანიცა იხდის პირველის სასარგებლოდ იჯარას 91 კაპ. სულზე.

რასაკვირველია, ყოველ სტანიცას არა აქვს ასე უხვად მიწა. ბორზდინსკაია სტანიცას (ყიზლარამდე 14 ვერსის სავალია) აქვს სულ 14,800 დესეტინა მიწა, სულზე მოსდით 4 დესეტინა. ამის მიზეზი არის უხეირო მდებარეობა სტანიცისა. ეს ადგილი ურწყავია და ამისათვის ჰყოფნის მხოლოდ იმ ადგილს, რომელიც მორწყულია, „წყლით გაჟღენთილი“, თერგის წყლით. ამ წყლით გაჟღენთილს ადგილს ანაწილებენ

---

ხე ბუზიჰტოლა ჩანდა და სუ ისე სრიკინ-სრიკინი მიქონდა.

— კარგი თვალი უნდა, რო ის დაინახოს კაცმა.

— ჩემა მზემ და თავი არ მომიკვდება, მე დავინახე.

—ყველაფერი მაიგონა ე ჩვენმა კემწიფემ და ე სიკვდილის წამალი-კი ვერ მაიგონა—თქვა ერთმა ხნიერმა კაცმა.

— რაც უფლის დაწერილია, იმას როგო მაიგონებს კემწიფე!

— ხო უფლიდამ არი ნაკურთხი და რატო ვერ მაიგონებს?

— იმიტო ვერ მაიგონებს, რო უფალს იქ უწერია: მავანი კაცი მავან დროს უნდა მოკვდესო და აბა კემწიფე როგო ამოშლის, რაც უფალს დაუწერია?

— ნეტავი რომელი ხემწიფე უფრო ღონიერია?

— ჩვენი ხემწიფეჰთანა ღონიერს არავის ამბობენ, სუ ბუინასავით გამოჰყავ ჯარიო.

— რას ამობ, ანგლიჩას კემწიფეს ამობენ, ღრუბლითა ომობსო.

— ვი, ის ოჯახ - დასაქცევი, რა ღონიერი ყოფილა!

— აბა ცა და ღრუბელიც იმიჰთვინ შაგეიკრა იმ სახ-კარ დალუპულმა, რო ღრუბლების კემწიფეცა ყოფილა-და!

—ჰმ! მაგიჰთანებისა მემკითხოთ, ვინ არი ღონიერი და ვინ არა?—წამოიძახა ერთმა მოხუცებულმა.—ღონიერი ყეენია და ხონთქარი! ყეენი რო ტახტიდამ დაიძრებაო, მზე და მთვარე დაბნელდებაო. როცა ხონთქარი დაიძრება, მაშინ კიდევ დედამიწა იძვრებაო.

— ჰა, დედა, აგე ღონივრები ვინა ყოფილან!

— რატო მალ-მალე დაიძერებოდა ე ხონთქარი!

— ხონთქარი წელიწადში ერთხელ დაიძრება ტახტიდამაო და ყეენი კი სამ წელიწადში ერთხელაო.

— მაშ იმ ოჯახ დასაქცევმა განაყოფთ ბასილამ მამატყუა? ქვეყნიარობა ერთ დიდ თევზზე დგაო. თევზს ბოლო პირში უჭირამსო და როცა ბოლო გეეშვება პირიდამაო და იმი დასაჭერათ შატოკდებაო, დედამიწაც ინძრევა მაშინაო.

— აბა, კაცებო, რო ოჯახი დაჰქცევია, იმოდენა თევზს წყალი როგო იმაგრებს?

—ბებია ჩემმა კიდე აგრე მითხრა, რო მზე და მთვარეს გველაშაპები დაიჭერენ-ყეო და დააბნელებენ-ყეო. მანამ ძირიდამ თოფებს არ დაუშენენ, არ გაუშვებენ-ყეო.

— ჰო და ყეენს ჯაჭვითა ჰყავ გველაშაპები დაბმული, და როცა ადგება, მაშინ ცოტა ხან აუშვებს-ყე და მაშინვე მზესა და მთვარეს მისცვივდებიან-ყე.

— კარგამც დაბმულები ჰყოლია, თორე ვინ იცის აქამდინ რამთენ ჯერ ჩაჰყლაპამდნენ!

— თევზს კიდე ბოლო მაშინ ეშვება პირიდამ, როცა ხონთქარი ადგება-ყე ტახტიდამ.

— მე კიდე ისევ იქა ვარ. ის ოჯახ-დასაქცევი, რა მდიდარი იქნება ი ანგლიჩას კემწიფე ვილაცა? მგონია მაშინ მოჰყავ წვიმა, როცა ყანებს უჭირს.

— არა, პურით ჩვენი კემწიფე დაჰკრამსო და ფულით-კი ისა ჰჯობიაო.

— საცა პური იქნება, ფულიც იქ არი.

— ნეტა, ბიჭებო, მჭადი სხვაგანაც იქნება?

— ჰმ, მაშ უმჭადო ალაგი იქნება? საცა გლეხი კაცია, მჭადიც არი.

— გლეხი კაცი რო არ გეეჩინა ღმერთს, ხო არც მჭადი იქნებოდა ქვეყნიერობაზე?

— ვილაჰთვინ იქნებოდა? წმინდა პური—თავადებისთვინ გაუჩენია, ქერი პური აზნაურებისთვინ და მჭადი—გლეხი კაცისთვინ.

— დახე, იმ დასაქცევ ილიას, როგორი კარგი ყარფუზები უყიდნია!.. ამ სიტყვებზედ ყველამ გაიხედა იმ მხრისაკენ, საიდამაც მოდიოდა ერთი ახალგაზდა გლეხი, რომელსაც აქეთიქით იღლიებში ეჭირა ორი ყარფუზი.

— რა კარგები გიყიდნია, რა მიეცი? ჰკითხა ერთმა მოსაუბრეთაგანმა როცა ყმაწვილი გლეხი მოახლოვდა მათთან.

— თითოში რვა-რვა გროში-კი მივეცი-და!

— დაიჯერე, კარგებისაა.

— მაიტა, ერთი პირი გაგვასველებინე!

— ვერას გაიგებთ! აგე ბაღი, წადით და გაისველეთ. ამ ყარფუზებს სხვა პატრონი ელით.

— აი, შე დასაქცევო, შენც-კი მიგიხარიან ი გოგოსთან!

— არ მეყოფა? კინაღამ არ დავჭლექდი ამ ერთ კვირაში.

— ეგ იმისთვინ მოგივიდა, რო გაღმა არ წაიღე და აქ წამაიღე.

— კაცმა ყველაფერი უნდა გამოჰცადოს. ვთქვი იორში უნდა წავეღომეთქი და სიტყვას აღარ გადავვალ.

— რა გინდა, მოსაკითხვისათვინ ხო მააჭწარ-და!

— მოსაკითხვისათვინაო! ერთი სიტყვით მეწისქვილეებსაც და მოსაფქვავეებსაც სუ დავხანჯლამდი, სამარიამობოთ რო ვერ მემეჭწრო დაფქვა და მოსაკითხი გასაგზავნი დამრჩომოდა. შენ არ იცი, რო მე ილიას მეძახიან? ყმაწვილი ბიჭი გეემგზავრა ერთი ურმისაკენ, რომელზედაც ფქვილის საცალოები ედო, ჩააწყო ურემში ყარფუზები და დაუწყო შესაბმელად მომზადება.

— რა ყოჩაღი ბიჭი ჩანს?

— ყოჩაღი და მაგრე!

— არა, ზედ ეტყობა-და!

— ღმერთმა დალოცოს მაგისი გამზდის ძუძუ, ერთი სიტყვით, მთელ დუნიაზე არ დაიბადება მაგითანა ფოლადიანი ბიჭი!

— რა გუთანზედაც ეგ ღამი მეხრეთ უდგა, იმ გუთნი ხარი ვერ გაიგებს, რო გუთანში ბმია.

— ვი, მე რო ეგ მინახამ, როგო უმარჯვებს ხარს ი ბალახს! როგორი ვიწრო კვალიც უნდა იყოს, იგრე გაატარებს შიგ მთელ გუთნეულს, რო იტყვი ერთი ხარიაო.

— აბა, მკლავ-მარჯვენაც მაგაჰ შარჩება აი!

— გუთნი დედები სუ ერთმანეთს ეცილებიან და ჩხუბი მოჰდით მაგი გულისათვინ.

— აბა, რა თქმა უნდა, რო ყველა გუთნი დედას კარგი მეხრე უყვარს!

— ღამეში სამჯერ-ოთხჯერ თუ არ დააძღო ხარი, გული არ მოუსვენებს, და გუთნი დედა ხო ვერ მიაჰწრობს იგრე, რო მაკაჰ გუთანი შაბმული არა ჰქონდეს.

— ღმერთიც მაგიჰთანა კაცს მოუმართამს ხელს!

— აკი უმართამს. ერთი ბეწვა ბალღი დარჩა ობლათ. მამისა არაფერი არა დარჩომია რა და თავისი მხნეობით იგრე მაიყვანა სახლი, რო მართლა კარგა...

— ღმერთსაც უყვარს მაგითანა გამრჯელი კაცი და კაცსაც!

— არა, ეტყობა ი ყველაფერში, რო ძალიან ფოლადიანი უნდა იყოს. ჰე, როგო ლაზათიანათ გადაუტყლაშუნა ი შოლტი, აი შეგრჩეს ეგ მარჯვენა!

ამ ლაპარაკის დროს, რომელიც სრულიად არ ესმოდა ილიას, შააბა ურემი და გაუყენა გზას. მოსაუბრენიც დაიშალნენ. ზოგმა ხარები გარეკა საძოვარზე, ზოგი ადგა, უსაქმობისაგან დათენთილი, ცალი ხელით იქექებოდა, ცალი-კი უბეში ედო და გასწია უაზროდ, თითონაც არ იცოდა, საით; ზოგი იქავე დარჩა, მაგრამ საუბარი-კი შესწყვიტეს.

### VIII

მგზავრები

ბუნება ახლად არის გაღვიძებული. შუადღე გადასულია. სოფელ *-დამ გამოვიდა და გაემგზავრა მრავლეთისაკენ ერთი დაყაჯრული კვიციანი ცხენი, რომელზედაც იჯდა შალ-წამოსხმული ყმაწვილი ქალი. ქალს ფეხები უზანგოების თასმებში ედგა და ხელში ეჭირა საბანში გახვეული ბავშვი. ყაჯარს ქვეშ, უნაგირის საწყვეტებში, იყო ჩაკრული პატარა ხურჯინი: ერთს თვალში ტანისამოსის ბოხჩა

ოც-ოც საჟენობად, რომ საუკეთესო ნაჭერი მხოლოდ ერთს არ შეხვდეს.

სახელმწიფო გარდასახადი მხოლოდ ჯარში სამსახურია. ყოველი ყაზახის შვილი, რაკი შეიქმნება 19 წლისა, უნდა შევიდეს ჯარში და დაჰყოს იქ ხუთი წელი და შემდეგ 40 წლამდის იყოლიოს ყოველთვის მზად ცხენი და იარაღი. სოფლის სასარგებლოდ (**ЗЕМСКІЙ НАЛОГЪ**) იხდიან სულზე 1 მ. 50.—1 მ. 20 კ. ეს ფული ხმარდება გზის გაკეთებას და მწერლის ჯამაგირს. გლეხკაცის წაყვანა სამუშაოდ (**ПОВИННОСТЬ ВЪ НАТУРѢ**) ყაზახებისთვის უცნობი წესი.

ყაზახების სტანიცებში ხშირად ნახავთ მუშად კალმიკებს, ნოღაელებს. ჩაჩანთა ღარიბი მიწური სახლები, გაშენებულნი სიპს კლდეზე, თერგის პირის, სუნთქვენ თავისუფლებით და უფრო იპყრობენ მგზავრის ყურადღებას, ვიდრე რიგზე გაშენებული, თეთრად გალესილი სახლები ყაზახთა. ყაზახი ჩვენს გლეხზე ბევრად უკეთესადა და მდიდრულად სცხოვრობს. ყოველს ყაზახს აქვს სასტუმრო ოთახი, ჰყავს ძროხა, ხარი, ცხენი, ღორი, ქათამი და სხვ., მაგრამ ამასთანავე სამწუხაროა ის ზნეობითი სიმსუბუქე, რომლითაც განთქმულია ყაზახის ქალი.

◆◆

## წვრილი ამბები

საფრანგეთის გამოჩენილს რომანისტ ემილ ზოლასთვის საპატიო ლეგიონის ორდენი მიუციათ. აი პარიჟის გაზეთი „Gil Blas“-ი რას ამბობს ამის შესახებ: აწინდელმა მთავრობამ ჯეროვანი მიუწყო ლიტერატურას. სახალხო განათლების მინისტრმა ემილ ზოლა საპატიო ლეგიონის კავალერად დაჰნიშნა, ბ-ნმა ლოკრუამ ეს ორდენი დაჰკიდა „Ferre“-ს ავტორს და იმის წინა მოადგილეებმა-კი დაივიწყეს და არ დააჯილდოვეს „Germinal“-ისა და „Assomoir“-ის ავტორიო.

— პარიჟის პოლიციის უფროსმა მასუმ ამას წინად გამოსცა წიგნი, რომელსაც ეწოდება „პარიჟის ახალნი საიდუმლონი“ და შიგ ცოცხალის სურათებით არის აღწერილი პოლიტიური ამბები პარიჟისა. მოგვყავს ამ წიგნიდგან ერთი ამბავი.

აგერ პოლიციის უფროსს გარს ახვევია თავიანთი ხელ-ქვეითნი და ლაპარაკი აქვსთ იმის შესახებ, თუ რა მოხდა წინა ღამეს პარიჟშიო. ამ დროს შემოდის ვიღაცა და წერილს აძლევს პოლიციის უფროსს. პასუხს ელიან. „აქ დარჩით, ბატონებო“, ეუბნება უფროსი თავისს მოხელეებს: „ამ შემთხვევაში მჭირიხართ. ეს წერილი ქ-ნის X-საა, რომლის ქმარსაც სამინისტროში დიდი ადგილი უჭირავს, საპატიო ლეგიონის ორდენი აქვს და სხვანი. გუშინდლიდგან ეს ბ-ნი დაკარგულა სადღაც და უნდა მოვძებნოთ როგორმე“. შემოჰყავსთ ქ-ნი X. იგი ცრემლით მოუთხრობს იქ შეკრებილთ, რომ ჩემი ქმარი არ ვიცი სად არის და ვერ ვიპოვნეთ, თუმცა ბევრი ვეძებეთო. დარწმუნებულია, რომ უეჭველია ავაზაკები დაესხმოდნენ თავსა და გასცარცვავდნენო. დიდის წვალებით ამბობინეს, თუ რა სახისა და შეხედულობისაა თქვენი ქმარიო. „ორმოც-და-ათის წლისაა, შუა ტანისა, თმები მოკლედა აქვს გაკრეჭილი, მაგრამ დამავიწყდა, სურათიც მაქვსო“. პოლიციის უფროსი ბრძანებას აძლევს: დაუყოვნებლივ დეპეშით აცნობეთ ყველა პოლიციის ნაწილებში, რომ მოსძებნონ ეს კაციო. ყველანი გადიან, რჩება მარტო უფროსი. „მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ამხანაგები უეჭველად იპოვნიან თქვენს ქმარს, თუ ნაპოვნი არ არის. საქმე იმაში გახლავსთ, რომ წარსულს ღამეს ჯიბგირებს შორის დაპატიმრეს ერთი კაცი, რომელიც თავისს სახელსა და გვარს არ ამჟღავნებს. იქნება სწორედ ის არის თქვენი ქმარი, ვინ იცის“. რამდენისამე წუთის შემდეგ ზემოხსენებული ჯიბგირი შემოჰყავს პოლიციელს. შეჰხედავს თუ არა, პრეფექტი მაშინვე იცნობს. „თქვენა ხართ!“ ეკითხება უფროსი“. „დიახ, მე ვარ—დარცხვენით უპასუხებს ბ-ნი X,—უნდა შემოგჩივლოთ, რომ თქვენნი ხელ-ქვეითნი მალიან საცტიკად იქცევიან“. პრეფექტი ეუბნება, რომ თქვენს ჯიბეში სამი ხელსახოცი და ერთი ქისა უპოვნიათ და თქვენ გითქვამსთ, რომ ჩემი არ არისო. მაშ როგორ აღმოჩნდა თქვენს ჯიბეში? „ვიღაც ნამდვილმა ჯიბგირებმა ჩამიდვეს ჯიბეშიო“, თავის მართლულობს დაპატიმრებული. „მიკვირს, რატომ არ აცხადებდით თქვენს სახელსა და გვარს, რადა იმალავდით წოდებას“. „მეშინოდა, რომ სასაცილოდ არ ავეგდეთ“. როცა სხვა მოხელეებს უკითხავსთ პოლიციისას, რომ ყოველ დღე Bon marché-ს მაღაზიაში რას აკეთებთო, ბატონს X-ს ვეღარა უპასუხნია-რა. ქალა-კი, რასაკვირველია, აშვარაა, რადგან ჰმალავდა თავისს გვარს: ეშინოდა, რომ იმისი საქციელი ჟურნალ-გაზეთებში არ გამომჟღავნებულიყო. პოლიციის უფროსი მკაცრად ეუბნება ბ-ნს X-სა: „თავისუფალნი ხართ. წადით თქვენს ცოლთან, აგერ მეორე ოთახში სტირის თქვენის გულისათვის. გაიმართლეთ იმის წინაშე თავი, როგორც გერჩიოთ და როგორც ამჯობინოთ. პოლიცია თქვენს საქმეს ჩანთქმავს და შეგიძლიანთ ულაქო სახელი დღეიდგანაც წმინდად ატაროთ და ტკბილი ცხოვრება გქონდეთ თქვენს ცოლ-შვილში“. X-მა მოისმინა თურმე ეს დარიგება და შემდეგ თავისს ცოლთან ერთად წავიდა. უფროსს ერთის საათის შემდეგ შემდეგი მოხსენება მოსდის: „ვეძებნეთ და ვიპოვნეთ კიდეც. ბ-ნი X მომკვდარა იმ ეტლში, რომელშიაც ღამე გაუტარებია. თუმცა ბევრი გამოვიკითხეთ, მაგრამ იმისი ვინაობა ვერ შევიტყვეთო“.

◆◆

## გასართობი

ბერლინის გაზეთ „Börsen Courrier“-ში შემდეგი ანეგდოტია დაბეჭდილი იმპერატორ ფრიდრიხ III. როცა იმპერატორი ჯერ კიდევ პრინცი იყო, ერთს ქალაქზე გაიარა და ქალაქის მოურავს დასახვედრი სიტყვა უნდა ეთქვა. ქალაქის მოურავმა დაიწყო:

— თქვენო უდიდებულესობავ! ჩემის პირით მოგესალმებათ ამ ქალაქის ოთხი ათასი მკვიდრი... თქვენო უდიდებულესობავ! ოთხი ათასი მკვიდრი... რა ჰქვიან... მოგესალმება თქვენს მობრძანებას... ჰმ... მოგესალ...

საბრალო ქალაქის მოურავს ჭირის ოფლმა დაასხა და თუმცა ბევრი ატრიალა ენა, მაგრამ ოთხი ათასს მკვიდრს ველარ გასცილდა. პრინცის ამაღა იღიმებოდა, თვითონ მემკვიდრე პრინცსაც სახე გაებრწყინდა, შემდეგ მივიდა საბრალო მქადაგებელთან, მაგრამ ჩამოართვა ხელი და ღიმილით უთხრა:

— ჩემ მაგიერადაც მოიკითხეთ თქვენი ოთხი ათასი მკვიდრი, ხოლო ყველა ერთად-კი არა, ცალკ-ცალკე.

**

ახირებული საჩივარი დაუწყია 23 წლის მის ვეის. ამ ექვსის წლის წინად ვიღაც პროფესორი დანიშნული ყოფილა ამ ყმაწვილს ქალზე და ამ ქალს ამ ექვსის წლის განმავლობაში 500 მდე წერილი მიუწერია თავისის საქმროსათვის და ამდენივე პასუხი მიუღია თავისს წერილებზე. რადგან ბოლოს ყმაწვილს კაცს მამის ძალ-დატანებით უარი უთქვამს მის ვეის შერთვაზე, ამიტომ ქალს ბრისტოლის სასამართლოში საჩივარი შეუტანია და 2,500 მან. თხოულობს იმ ხარჯში, რაც წერილებზე ფული დაჰხარჯვია.

**

პროფესორს შერცლს ოდესის ერთს გაზეთში დაუბეჭდია ფელეტონი ენის კეთილხმოვანებაზედ. ამის შესახებ გაზ. „НОВОСТИ“ ამბობს, რომ ჩეხნების ენა, მართალია, ძნელია აღმოსათქმელად, მაგრამ იმაზე უარესები კიდევ სხვებია და ძნელად აღმოსათქმელ სიტყვებად რამდენიმე, მართლა რომ სასაცილო, სიტყვა მოჰყავს. მაგალითებრ:

ხპატაკკოლლუ ჰნიშნავს „სიმაგრეს“ ჩინურად.

სზლზლცლ—„ხეები“ ველიშურად.

ტეტუნგხეკეხკეიპინახასიკმუკსხოლი—„ავრა“ დელავარელების ენაზედ.

ტეპუზკუაუხშსემეეოლოლოზი—„ცული“ მექსიკურად.

◆

## დეპეშა

12 ივლისი

პეტერბურგი. გუშინ საღამოს იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა იმპერატორ ვილჰელმთანა და პრინც ჰენრიხთან ერთად დაესწრნენ საგვარეულო სადილზედ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისას მიხაილოვსკში. დღეს წაბრძანდება გერმანიის იმპერატორი საუზმის შემდეგ „ჰოჰენცოლერნის“ იახტაზე. საუზმეზე მიწვეულნი არიან 70-ოდე კაცნი.

სტატს-სეკრეტარს გირსს ებოძა ბრილიანტის ნიშნები „შავის არწივისა“, მინისტრის ამხანაგს ვლანგალის—ორდენი „წითელის არწივისა 1-ლის

---

იდო, მეორე თეალში-კი იდო ერთი შოთის პური და ერთი პატარა ჰიჭლა ღვინო იდგა—რძის ვახშამი. ცხენის ჯილავი ეჭირა ახალგაზდა ყმაწვილს ბიჭს, მორთულს სამეფო ტანისამოსით, რომელიც უკან-უკან იხედებოდა და ესაუბრებოდა ქალს. ქალი ხან-გამოშვებით იძახოდა: „რძე-ო, რძე-ო, წა-მო-დი, გიგიასა ჰში ან!“

როცა კარგა მოშორდნენ სოფელს, ყმაწვილმა კაცმა მიჰმართა ქალს:

— ერთი სიტყვით, ისე უნდა გამიზარდო ე გიგია, რო ლომი უნდა გამოიყვანო!

— მე რა გაგიზარდო რა!—უპასუხა ქალმა ღიმილით და ნებიერობის კილოზედ.—მე ძუძუსა და მოვლას არ მოვაკლებ და გაზდა ღმერთზე ჰკიდია.

—-ღმერთზე ჰკიდია, მაგრამ თუ შენ გეყვარება და კარგა მოუვლი, ღმერთიც ხელს მოუმართამს.

— მარტო ჩემი ხო არ არი, რო მე მიყვარდეს? შენც უნდა გიყვარდეს.

— მე და არ მიყვარს! ჩემა მზემ და თავი არ მამიკვდება, ეჰ სამჯერ მაინც მინახამ სიზმარში, რო მითამ გიგია დლისი მეხრეთ გუთანზე ედგა.

— უი, ი დღეს შევეჰწრობი?

— ჰაი თუ ღმერთმაც ხელი მამიმართა! იგეთი რამ უნდა გამოვიყვანო, რო ხუთმეტი წლისას ლამი მეხრეობა შეეძლოს. იგრე კი არ უზამ, როგორც მამაჩემმა მე მიყო, რო მჩხავანა კატაც არ გაუშვა ჩემ ბედობაზე. ღვთით, ეხლა ყევარი ხარი მყავ. მინამ გიგიას მეხრეობა შეეძლება, ოთხ-ხუთ ულელ ხარ შავყრი. მაშინ ყველანი შემეხვეწებიან, რო შაუბა ხარები და გიგიაც მიეაყოლო ლამი მეხრეთ; მე კიდე შინ დავტრიალდები.

— ეი, ეს უნდა ლამე ხარში ატარო და შენ კი შინ გამაიძინო? დიაღ!

— არ გამოვიძინებ-კი, შინა საქმეს გავაკეთებ. მინამდინ კიდე დავბერდები,—უპასუხა ღიმილით.

— დაჰბერდები, თუ რაკ მოგივა, მე ამას იგრე პატარას ვერ გავიმეტებ სალამი-მეხრეთ.

— როგო, შენა გგონია მე კი გავიმეტებ? მე ვამობ, ისეთი უნდა გამოვიყვანო-მეთქი, რო დლისი მეხრეობა არ იკადროს და პირ-და-პირ ლამი მეხრეობა მაიმდომოს თითონვე. მე განა დიდი ვიყავ, ლამი მეხრეობა რო დავიწყე რა! მეც ხუთმეტ-თექვსმეტი წლისამ დავიწყე ლამი მეხრეობა.

— შენი საქმე სხვა იყო, და ამისი საქმე სხვა არი. შენ არც-კი გახსომს მამა და ამას, მამა ღმერთმა უცოცხლოს, რა აქვ გასაჭირი?

— გასაჭირი-კი არა გვაქვს-რა, მაგრამ, მე ვიქნები, თუ ცვა, უნდა ერთ-ერთმა, აუცილებლათ, ლამი მეხრეთ ვიაროთ ამიჰთვინ რო ხარები გვყავ და იმათი თავის დანებება და სხვისა ხელში ჩაყრა არ იქნება. ხარები რო კაცმა უპატრონოთ სხვისა ხელში ჩაყაროს, იმათი იმედი აღარ უნდა ჰქონდეს; ხო გაგიგონია, „ხარი სხვისაო, სახრე ტყისაო“. პატრონი-კი რო გვერთ ეყოლებათ, ბალახსაც მიუმარჯვებს და ტოლის დადებითაც არ გაალახვინებს. შენ არ იცი მეხრეების ეშმაკობა!

— მეტი რა გამიგონია მამიჩემისაგან.

— ჰო და ე მაგას გეუბნები, რო ეგრეო?

— ღმერთმა კეთილის ყურით გაიგონოს. მამეულთიდამ მოჰდგამს ჯიშში და დედეულთიდამ. მამაჩემი არ არი, რო, რაც გამოზდილა, სუ გუთანი უჭირამ.

— ეჰ, კაცი თითონაც უნდა გამოვიდეს, თორე! მამაჩემს თავისი სიცოცხლე მოჯამაგირობაში დაულევნია, მაგრამ მე არც-კი ვიცი მოჯამაგირობა რასა ჰქვიან. მეც რო მამიჩემის კვალზე წავსულიყავ, ეხლა სხვისა ხელში შამყურე ვიქნებოდი. მაშინ ხო ზედაც აღარ შამამხედამდი! დაუმატა ღიმილით.

— მე-კი შამოგხედამდი, თუ მამაჩემი შამამახედებდა. სუ იმას ამობდა: „იგეთ ოჯახში უნდა ჩავაგდო ჩემი მარიკოვო, რო, ვინიკობა არი, ქრიობა ეწეროს და დაქერივდესო, ვენახების ლობეებმა შაინახონო“.

— ეი, გამოჰკრა ამანაც!

— ო, გიგიას სიცოცხლემ!

— მაშ მე რით მამათხუა შენი თავი, რა გადაჭიმული ზვრები მე მაქვ?

— შენ სხვა ხარ. შენიდამ რო მაჰაკალი მოვიდა, დედაჩემი და მამაჩემი ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მე-კი ჩუმათ ყურს უგდებდი. მამაჩემმა თქვა: „მე არ დავარიდებ იმას ქალსაო. მართალია, ძირეული ოჯახი არა აქვსო, მაგრამ თითონ მხნე ბიჭიაო; მამა-პაპისა არაფერი არა დარჩომია-რაო, მაგრამ თავისი მხნეობით სახლი ყოჩაღათ მაიყვანაო“.

— სწორეთ მითხარი, შენ რა სთქვი მაშინ შენ გულში?

— რა ვთქვი? იგრე გაიხაროს ჩემა პატარა ქმარ-შვილმა, როგორც მე მაშინ გავიხარდა.

— ჰაი თუ შენც-კი მისვამ თავზე ქონს! უთხრა ღიმილით.

— იგრე მართლა ღმერთმა მე შამარჩინოს პატარა გიგიას თავი, როგორც მართალს მე ვამობ! ქმარსა და შვილს ტყუილათ დავიფიცამ?

— გეხუმრები, განა მართლა გეუბნები რა!

— განა არ ვიცი, რო მეხუმრები, მაგრამ ხუმრობასაც თავისი საბუთი აქვ.

ამ ნაირი ლაპარაკით შევიდნენ მგზავრები სოფელ მრაელეთში. რასაკვირველია, ამ მგზავრებში ყველანი იცნობენ ილია თვალიაშვილს თავისის მეუღლითა და ძით.

ილია თვალია ოქროულას შვილმა დასდო ხელი ივანე მეშველიშვილის ქალს მაროს, ანასტასიას შეგირდს. გადაიხადა ქორწილი. სანათლიდებოდაც მოუვიდნენ მაროს, წესისამებრ, ორის თვეის უნახავი დედმამა და ნათესავები, მაგრამ მაინც ამათმა ნახვამ ვერ მოუკლა სრულიად წყურვილი „სამშობლოს“ ნახვისა. იმის გულს იზიდავდნენ ის ადგილნი და სწორ-ამხანაგნი, სადაც და ვისთანაც გაატარა თავისი სიყმაწვილის დღენი, და ყოველთვის ნატრობდა იმ წუთს, როდესაც იზამდა პირს სამშობლოსკენ. ეს წუთიც დადგა იმისთვის ჯვარის წერის ექვსის თვეის შემდეგ, როდესაც მისმა უფროსმა—დასანიშნად მომზადებულმა—ძამ შემოუჭენა ეზოში ორი შეკაზმული ცხენი იმის წასაყვანად სამშობლოშიმოსალოგინებლად. იმავე დღეს საღამოზედ მარო იჯდა მშობლებთან და შეექცეოდა. მოიკლა წყურვილი. დალოგინდა კიდეც და ეყოლა ვაჟი, რომლის მომავალ ბედზედაც მოსაუბრობდნენ გზა-გზა ცოლ-ქმარნი.

როცა მგზავრები შემოვიდნენ სახლის ეზოში, ოქროულა გაექანა, ჩამოართვა რძალს თავისი შვილიშვილი და შეარბენინა შინ. ოქროულა ძრიელ გახარებული იყო, რომ ილიას პირველად ვაჟი ეყოლა. სულ იმას იძახოდა, ახლა-კი მოჰხედა ღმერთმა ჩემ ილიასაო, ძმასავით მეესწრობა შვილი და ობლობას სულ დაავიწყებინებსო. რამწამს გაიგო ოქროულამ, რომ მაროს ვაჟი ეყოლა, მოამზადა ლოგინის ძლევენი და მესამე დღესვე გაემგზავრა ახლად მშობიარე რძლისაკენ. ბევრი ჰკოცნა, ბევრი ეალერსა თავის პატარა შვილიშვილს, მაგრამ მაინც ვერ გაძღა იმის კოცნით და ალერსით ნახევარის დღის განმავლობაში. ამისთვის სახლში შეყვანის უმალვე დაუწყო ბავშვს ხანგრძლივი კოცნა და ალერსი. როცა მოიოხა გული კოცნით, დაიწვინა კალთაზე, ააპყრო მაღლა ხელები და დაიწყო: „იი, მაღალო ღმერთო, შენ აჩუქე და გაუზარდე თავის პატრონს!.. შენ გააფუფუნე ამ ფუზე-კარეზე და მიეცი შენი წყალობა და გამარჯვება! შენ მიე მკლავში ლონე და ხელში ბარაქა, ჯანის სიმთელე და გულის სიმხიარულე! შენ შამაჰწარა ამის ბედნიერობას და გადუქციე ამას ლხინათ, რაც ამის უბედურ პაპას ტანჯვა და უსამართლობა გამოუვლია, და ამას შაჰმატე იმისი დანაკლისი დღენი!“

მელანია

(შემდეგი იქნება)

ხარისხისა, გრაფ ჰერბერტ ბისმარკს—ბრილიანტის ნიშნები ალექსანდრე ნეველისა.

«Journal de St.-Pétersbourg»-ი ამბობს: „გერმანიის იმპერატორის სტუმრობის გაგრძელება რუსეთში საბუთია სამეფო გვართა წევრებსა და უავგუსტოესს სტუმრის შუა გულითადის განწყობილებისაო. ამ განწყობილების გამო ვილჰელმს სურვილი აქვს კიდევ რამდენსამე ხანს დარჩეს რუსეთში. ყოველივე გარემოება ჰმოწმობს, რომ ეს განწყობილე'ა მართლა უგულითადესია, და ეს ხომ კეთილად ამოქმედებს ორთა მართებლობათა და ერთა განწყობილებასაო.

კიევი. გუშინ სოფიის მოედანზე დიდის ამბით აკურთხეს ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი. კურთხევაზე დაესწრნენ გენერალ-გუბერნატორი, ქალაქის წარმომადგენელი, ჯარები, დეპუტატები და სტუმრები. ხმელნიცკი ასე არის გამოსახული: ცხენზე ზის და გეტმანის ტანისამოსი აცვია. მარცხენა ხელით ცხენს იკავებს, მარჯვენა ხელში გეტმანის ღირსების ნიშნები უჭერია და ითითება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ—მოსკოვისაკენ. ძეგლის ქვაზე აწერია: „გვსურს აღმოსავლეთის მართლ-მადიდებელს ხელმწიფეს დაექვემდებარენეთ“. ორგან შემდეგი აწერია: „ერთიანი, განუყოფელი რუსეთი ბოგდან ხმელნიცკის“ და „1654—1888 წ.“

დღესასწაული რუსეთის 900 წლის მირონ-ღების იუბილეისა დაიწყეს გუშინ ღამის თეეით კეთილ-მორწმუნე დიდის ოლგას საფლავზე. დღეს კეთილ-მორწმუნე ოლგას გარდაცვალების მოსახსენებლად სერბიის მიტროპოლიტმა გადაიხადა წირვა დესიატინის ეკკლესიაში. წირვის შემდეგ გადაიხადეს პანაშვიდი ყველა კიევის მთავრების მოსახსენებლად, რომლებიც ქრისტიანობას ავრცელებენ და დამარხულნი არიან კიევში. საღამოს 10 თეით ქალაქის საბჭოში წაკითხულ იქმნა ლექცია რუსეთის მირონ-ღების თაობაზე.

პარიჟი. ბულანჟეს, რომელიც დაამარცხეს არჩევანზე არდეშის დეპარტამენტში, განზრახვა აქვს კენჭი იყაროს სომმის დეპარტამენტში 19 აგვისტოს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია დებულება, რომ ბალტიის მხარეში პოლიციის უწყება სხვაფრივ მოეწყოს.

13 ივლისი

პეტერბურგი. Journal de St.-Pétersbourg-ი ამბობს: ჩვენ უფლება არა გვაქვს შევხედოთ პირადს მხარეს განწყობილებისას, რომელიც ამ დღეებში დამყარდა სამეფო გვარსა და იმპერატორ ვილჰელმს შუა, მაგრამ ნამდვილად შესაძლოა ვსთქვათ, რომ თუ ვილჰელმს განზრახვა ჰქონდა დაემკვიდრებინა მეგობრული განწყობილება ორს სახელმწიფოთა შუა და გაეძლიერებინა იმედი საერთო მშვიდობიანობისა, ეს აზრი მიღწეული და შესრულებულია იმით, რომ ვილჰელმმა მეგობრული ზრდილობა იხმარა და პირველმა ინახულა ჩვენი ხელმწიფე ამპერატორი და იმპერატრიცა. ჩვენ ეჭვი არა გვაქვსო, ამბობს გაზეთი, რომ ყველა ერთათვის სასიამოვნო იქნება ეს ახალი და ძლიერი საბუთი საერთო მშვიდობიანობისა.

სტამბოლი. ოსმალეთსა და ინგლისს შორის უთანხმოება ჩამოვარდა ეგვიპტის გამო. ოსმალეთი მშვიდობიანს პოლიტიკას მ სდევს; ზურგის ჯარში გადარიცხა 40,000 კაცი და 25,000 კაციც თუმცა მოწოდებულია გასაწვრთნელად, მაგრამ ჯარში-კი ჩარიცხული არ იქნება.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8 50 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 170³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 33 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 268³/₄ |
| —მეორისა | — „ | — „ | 251³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

14 დღე ხუთშაბათი. ღირსისა სტეფანესი და ონ სიმესი. კათოლ. ეპ სკ. ბონავენტურისა. სომეხ. წმ. ისააკისა და მესროფისა, დაბადების სომხურს ენაზედ მთარგმნელისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—48, ჩადის 7—24. მთვარე 18 დღისაა.

15 დღე პარასკევი. ივლიტესი. კათოლ. წმ. იმპ. ჰენრიკისა. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისსა.—პოეტი მ. ლერმონტოვი, 25 წლისა, დუელში მოჰკლეს პიატიგორსკს, 1841 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—23. მთვარე 19 დღისაა.

16 დღე შაბათი. წამება ათინოგენისა და მისთა ათთა მოწაფეთა. კათოლ. წმ. ღვთის-მშობლისა კარმელითელისა. სომეხ. წმ. სომეხთა მეფისა ტრდატისა, იმის მეუღლის აშხენისა და დისა ხოსროვედუხტისა. ნახატონაქი. მუსულმ. მე-19 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—22. მთვარე 20 დღისაა.

17 დღე კვირა. დიდად წამ. მარინესი და ღირსისა ლაზარესი. კათოლ. წმ. ალექსისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—21. მთვარე 21 დღისაა.

18 დღე ორშაბათი. ღირსისა იაკინთესი. კათოლ. წმ. სვიმონისა სომეხ. წმ. კალისტრატესი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20. მთვარე 22 დღისაა.

19 დღე სამშაბათი. ღირსისა მაკრინესი. კათოლ. წმ. ვიკენტისა. სომეხ. წინასწარმეტყ. ზაქარიასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—19. მთვარე 23 დღისაა.

20 დღე ოთხშაბათი. წმ. წინასწარმეტყველის ილიასი. კათოლ. წინ-მეტყ. ილიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18. მთვარე 24 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 | „ |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | |
| მე-2 ხარისხისა | 4 | |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდა?: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, №101.

# განცხადებანი

ამა მდგომარე 1888 წ. ენკენისთვისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ორმოც-და-ორი (42) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში ვაკანსია სულ არ არის და აგრეთვე არ არის ვაკანსია პირველსა და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში. პროგიმნაზიის მესამე და მეოთხე კლასებში არის ვაკანსიები, არა ნაკლებ ათ-ათისა თვითოეულში. პირველს განყოფილებაში შემომსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ 20 აგვისტოდამ 25 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობისა და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობა არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა წარმოადგინონ, რომ ყმაწვილის მშობლები (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლებიან.

25 აგვისტოს დაიწყება მისაღები და ხელ-ახალი ეგზამენები და გათავდე'ა 31 აგვისტოს რიცხვში.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპ. ზ. ჯორჯიკია

(6—1)

## ცნობათა უმთავრესი კანტორა

 შ. ვ. დავიდოვისა.

ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დარ-[illegible]

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ-გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვინ და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთ საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი, ანუ სხვა საქმე: მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზების და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურ. ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ.

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

**თავის მოვლა**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—27)

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ცუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ვ. კვიცარიძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი კახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი. | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |

## კელერის ახალი ასანთები მაგნი

ლითონის მასრებში. ძალიან კაშკაშად და საუცხოვოდ ანათებს და კარგი სახმარებელია ოთახებისა და ბაღების გასაჩირაღდნებლად, ეკკლესიის გუმბათებისა და ცერემონიების გასანათებლად. ანთების დროს არც ბოლი აქვს და არც სუნი და აგრეთვე ფოსტითაც ადვილი და უშიშარი გასაგზავნია.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)

## კაუჩუკის წასასმელი

ჭაობებში სატარებელ წაღებისათვის

რ. კელერისა და ამხ. ფაბრიკისა, მოსკოვში.

ეს წასასმელი ტყავს ძალიან არბილებს და მერე ისე, რომ წყალი ვერ შეატანს. იგი ყველა სხვა ამ გვარ წასასმელებზე უფრო იაფია.

ისყიდება პროვინციის ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)

Доз. ценз. Тифлисъ, 13-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე